

79
68.9

1968 0353JMO N1

ՀՈՐՆ

ՀԱՅԿԵՏԱԿԱՆ
ՅԵՆՈՒՄՈՒԹՅՈՒՆ

542/2



392

თოვნი

ათოვს მთა-ბარს,
ტყეებს ათოვს.
გეყო ძიღი,
მურა დათვო!
გაიღვიძე,
ნუ ხარ ზანტი,
საგუნდაოდ გამობრძანდი!





როგორ გაამხიარულა ზამთარმა ტყე

პლალიძის ასლაშვიძე

ნახატები ჯემალ ლოლუსი

თეთრწვერა ზამთარი მთაზე გადმოდგა. შეშინდნენ ტყის ბინადარნი, ზოგი სად მიი-
მალა, ზოგი—სად.

ტყემ მოიწყინა.
ზამთარმა მთაზე მოიკადათა და ხედე-
ბი ააბარტყუნა:

— ეჰეი, ვინა ხართ ახლამახლო? მოდით,
კარგი ამბავი გითხრათ!

თეთრწვერა ზამთრის ხმა პირველად კოდა-
ლამ და ციყვემა გაიგონეს, გაბედეს და მიირ-
ბინეს, მოწიწებით მუხილი მოიყარეს.

— წადით და მთელი ტყე აქ შეყარეთ!
კოდალა ფრინველებთან გაეშურა. დაფრი-
ნავდა ხიდან ხეზე, დაძვრებოდა ეკალ-ბარ-
ფებში, ნისკარტით უაკუნედ და ტოტებს და
ჩიტებს ზამთრის დანაბარებს უშბნებოდა.

ციყვემა მთელი ტყე, ყველა სორო და ფუ-
ლურო მოიარა: არიქა, ბაბუა ზამთარი გი-
ბარებთ, აიკარით გულა-ნაბადი და ახლავე

ეახლითო.

ტყე უჩვეულოდ ახმაურდა. მთის კალთაზე
პირველად კურდღლებმა და ციყვემმა მიირ-
ბინეს. მოცუნცულდნენ მეღაკულები, მოჭუნ-
ძულდნენ მგლები, მობაჯბაჯდნენ დათუნიები,
მობოზოდნენ მარგები, მოცანცაღდნენ თაგ-
ვები, მოფრინდნენ ფრინველები; შემოუსხ-
დნენ ბაბუა ზამთარს და სმენად იქცნენ.

— ყველა აქ არის?—იკითხა ზამთარმა.

— ყველა, ყველა!

— ძალიან კარგი,—თქვა ზამთარმა,—
ხვდ ტყეში გეახლებით და დიდი ზეიმი
გვექნება. ყველას თითო სურვილს შეგისრუ-
ლებთ. ინატრეთ, რაც გინდათ და, დილით აი,
იქ რომ დიდი ნაძვი დგას, მის ტოტებზე
იქნება ჩამოკონწიარებული.

არც აცია, არც აცხელა, ადგა და წინ
დათუნია გამობაჯბაჯდა:

— დათვებს გვირდა, იმ ნაძვმა თაფლით
სასვე ქიღები გამოისხას.





— აგისრუდებთ!—ბრძანა ზამთარმა.
— მაგას ქორთა ბატკანი მირჩევნია,—
შეუღრინა რუხმა მგელმა დათეს და ნერწყვი
გადაყლია.

— ტოტებზე თუ მსუქან ვარიებსა და
იხვებს ვნახავ, ჩემს ბეგს ძალდი არ დაყუფ-
და,—თქვა მეღაკუდამ.

— ნაძვის ხე თხილსა და წაბლს რომ გა-
მოისხამდეს, ციყვუნები და თავგები დიდი
მადლობელი ვიქნებით!—ჩაიწრიპინეს ციყ-
ვებმა და თავგებმა.

— არც სტაფილა და კომბოსტო დაგა-
ვიწყდეს, გულკეთილი ზამთარო,—შეებეწა
კურღლედი ზამთარს.

გაჯავრდნენ ფრინველები,—ჩვენც გვა-
თქმევინეთ, თორემ ნაძვის ტოტებზე ადგილი
ალარ დარჩებაო. წამოდგა კოდადა და ყველას
სათქმელი უცებ მოახსენა ზამთარს:

— ჩვენ, ფრინველები, კიალუით ვიკვებ-
ბით და გვინდა, ნაძვამაც კიალუა გამოი-
სხას.

მერე ყველაფერი აირია. აჩხავდნენ, აყ-
მუღდნენ, აღრიადნენ... ზოგი რას ნატრობ-
და, ზოგი—რას. მარტო ბაბუა ზამთარი იჯდა
ჩუმად და ვინც რას ინატრებდა, იმასხოფ-
რებდა.

იმ ღამეს ტყეში თვალი არავის მოუხუ-
ქავს. ფრინველები და ცხოველები მოუთმენ-
ლად ელოდნენ განთიადს.

ინათა. დათვი მაშინვე გამობაჯბაჯდა
თავისი ბუნავიდან და ნაძვისაკენ გაძუნ-
ძულდა; ვეონა, ყველას მივასწრებო, მაგრამ
ვერ მიართვეს!—ტყემ გაიღვიძა, ახმაურდა
და ათასობით ფრინველი და ნადირი დიძნა
ნაძვისკენ, მივიდნენ და რას ხედავენ: ნაძვს
საოცრად თეთრი ყინულის საჩუქრები გა-
მოუსხამს.

— მოგვატყუა ზამთარმა!—აბურტყუნ-
დნენ დათვები, აყმუღდნენ მგლები.

მაგრამ ნაძვის ხე ისე ეღამაზა იყო მორ-
თული, მადე წყენამ ყველას გაუარა და
გამხიარულდნენ კიდეც: ჩიტებმა საცეკვაო
დაუსტრინეს, ყურცანცარა კურღლებმა კუნ-
ძებს, ვითომდა დოლიაო, თათები დასცხეს,
დათუნები ნაძვის ირგვლივ აბაჯბაჯდნენ.

ტყე მხიარულობდა. მხიარულობდა ზამთა-
რიც და იქაურობას თოვლის ფანტელებს
აფრქვედა.

ამოცანათა კრებული

ლილია კონი

ნახატები რეპეტიციის

ძველად ღარიბთა თითო-ორიოლა ბავშვი თუ სწავლობდა გიმნაზიაში.

ვალოდის კლასშიც იყო ერთი ასეთი ღარიბი ბიჭი—მიშა კუხნეცოვი.

მიშას მამა რესტორანში მუშაობდა, მდიდრებს ემსახურებოდა. ძალიან ცოტა ხელფასს იღებდა, შვილის სწავლის ქირა რომ გადაეხადა, დღე და ღამე ასწორებდა.

მიშას ბაზარზე უყიდვს გამონაცვლი და გაცრეცილი ფორმის ტანსაცმელი. წიგნებისათვის კი აბა სად იყო ფული.

ერთხელ, არითმეტიკის გაკვეთილზე, მასწავლებელი ძალიან გაუუჯავრდა მიშას:

— კუხნეცოვო, გამოდი და გვითხარო, რატომ არ შეასრულეთ საშინაო დავალები?

მიშა დაფასთან ვაჟიდა. გამხდარსა და გაყვითლებულ ბიჭუნას სხვისი გამონაცვალი კოსტუმი სასაცილოდ ედგა ტანზე, თავი ჩაეღუნა და ხმას ვერ იღებდა.

— რას გაჩუმებულხარო? კეთილი ინებეთ და გვიპასუხეთ!


მიშა გაწითლდა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ამოცანათა კრებული არა მაქვს,— წაიდუღუნა მან.

— მაშ, წიგნი არა გაქვთ? გესმით, ბატონებო? მერე და, რატომ არა გაქვთ? გიმნაზიელს სახელმძღვანელო არ უნდა ჰქონდეს?

— მამა მიყიდის, — სლუკუნით თქვა მიშამ, — მამამ თქვა, როგორც კი ფულს ავიღებ, გიყიდია...

— რა ჩემი საქმეა, როდის აიღებს მამაშენი ფულს! — იყვირა მასწავლებელმა.



გინდა, არ გინდა, კრებული გააჩინე და ხვალ ყველა ამოცანა ამოხსნილი მოიტანე, თორემ იცოდე, დაგჯი!

მიშა დანადვლიანდა, აბა, საიდან უნდა ეშოვნა ხვალისთვის წიგნი!

დასვენებაზე მიშასთან ვალოდია მივიდა:

— აბა, — უთხრა ვალოდამ და თავი-



სი წიგნი გაუწოდა,—ვიდრე იყიდი, ეს გქონდეს!

მიშა სიხარულით ცას ეწია, წიგნი გამოართვა, მაგრამ უცებ ძალიან შეწუხდა.

— მერე შენ? შენ რომ აღარ გექნება?

— ჩემი დარდი ნუ გაქვს,—მიუგო ვალოდიამ,—დავალემა უკვე გადავიწერე და შინ ამოვხსნი. წაიღე, წაიღე, ნუ გერიდება!—და ცოტა ხნის მერე დაუმატა:—რანაირი ბიჭი ხარ, ადრე ვერ მითხარი?

იქვე პეტკამ და ვიქტორმა ჩაიარეს და შორიახლოს შეჩერდნენ.

— ეს ულიანოვი რა ყველა დატაკის მამიდაა!—ვალოდიას და მიშას გასაგონად თქვა პეტკამ.

— წიგნის ყიდვის თავიც არა აქვთ და გიმნაზიაში კი მოძებრებიან,—მხარი აუბა ვიქტორმა,—გიმნაზიას არცხვენენ.

— მამაჩემი ამბობს,—განაგრობ პეტკამ,—ამისთანებს გიმნაზიის კარიც არ უნდა ანახო.

— მამაჩემი კი ამბობს, გიმნაზიაში ყველა ბავშვი უნდა სწავლობდესო!—გამოვბასუხა მათ ვალოდია,—წავიდეთ, მიშა, მაგათ ყურს ნუ უგდებ.

თარგმანი ლეილა ქაჩაძე

ჟამთაისიკული

თინათინ კვიციანი

გალმა-გამოღმა ქედებმა
მოისხეს თეთრი ნაბადი;
საცაა ბარშიც ჩამოთოფს,
მიღამოს თეთრად დაბარდნის.

ჭრელი, ხოკერა კვახები
დაიბრაწება ლადარში.
ძველისძველ ამბებს ბაბუა
ხელისგულივით გადამლის.



ვინ მოიპარა პირინა

სიარული ხუთნი ცხოვრობენ: დედა, მამა და მათი ბავშვები—ნუკო, ნოკო და ნაკო. მამა ყოველ დილით სამუშაოზე მიდის, დედა სიაროს ალაგებს და საუზუნს ამზადებს; ბავშვები კი მდინარეზე ჩლიან, ვარჯიშობენ, ხელაპირს იბანენ და შინ ბრუნდებიან. მერე აიჭარბენ წინსადრებს, მოუსხლებიან მავრებს და მხიარულად ელოდებიან საჭმელს.

— რა გაეპაოთ, შეილებო?—ეციობენა დედა კურდღელი.

— რაც გინდა, ის გაეპაე, დელიკო,— შენი გაეტუბული ცველაფერი გემრიელია. ბავშვებს ისეთი წვინანი უყვართ, შიგ რომ ბევრი კომოსტო და სტაფილოა.

ერთხელაც ბავშვები პირის დასაბანად გავიდნენ, მაგრამ სადღა მდინარე მდინარის ადგილას რაღაც სარკესავით პრილა გზა დახვდათ.

— რა კარგი გზაა!—წამოიბანა ნაკომ.

— ალბათ, ჩვენიც გააკეთეს, რომ ჩირბეშში აღარ ვიძრომილაოთ!—გაუბარდა ნოკოს.

— რა იცით, რომ გზაა? იქნებ სხვა რამეა?—დაეკვდა ნუკო.

— აი, თუ გზა არაა!—შეხტა ზედ ნაკო, მაგრამ ვიი თქვენს მტერს,—აუყურდა ფეხი და კინაღამ კისერი მოიტება.

შეინდნენ ბავშვები და სიროსაკენ მოუტყუბლეს.

— დედა, მდინარე მოუპარაგით!—შესრიგელს ურთობდა.

— ვინ მოიპარაგა?—გაიკვირა დედა.

— ვინ და... რა ვიცით.

ყველანი მდინარისაკენ წააცნაღდნენ. დედას გაეღმა და თქვა:

— მდინარე სიცივისაგან გაყინულა. ჯერ არ ჩამოუთოვია, ზამთარი კი დავედგომია და ეკ არი.

— გაყინვა რა არის, დედა?—გაკვირა და სამივეს.

— გაყინვა მდინარის დამინებაა. როცა ძალიან შესცივდება და სიარული გაუძნელდება, მდინარე



დადგება და იძინებს ხოლმე.

— მერე აღარ გაიღვიძებს?

— გაიღვიძებს რომელია! ვაზაფხულდება თუ არა, ისე ძველებურად აჩრიაღდება.

— ჩვენ კი გვეგონა, მოიპარეს.—ბავშვებს გულიანად გაუცინა და ერთმანეთს ვადახვდეს. ნაკომ თავი ჩაღნა:

— რა გქნათ ახლა? რითი დაიბანათ პირი?

— აბა, გამოიხვეით!—თქვა დედა კურდღელმა.

წაუტკა შეილებს და ერთ უზარმაზარ წიფლის ძირას მიიყვანა აქ კი მშვენიერი წყარო ამოჩინებდა.

ბავშვებმა პირი დაიბანეს და დედას კაციობეს:

— ეს წყალი რატომ არ გაყინულა?

— ეს, შეილებო, წყაროა, წყარო კი არასდროს იყინება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჯერ დაღლილი არ არის, მიწიდან ახალი გამოსულია. მიწა კი თბილია... ჩვენც ამიტომ ვეცხოვრობთ მიწაში.



— დედა, წყაროც რომ გაიყინოს, მაშინ რა უნდა გქნათ?

— წყაროც რომ გაიყინოს, წყურვილით დაივხრობით. მარტო ჩვენ კი არა... ყველანი. ტყე რომ არა, წყაროც არ იქნებოდა.

— ყველაზე კარგი ტყე ყოფილა!—ამბობს ნაკო.

— ტყეს და წყაროც... ამბობს ნოკო.

— ტყეც, წყაროც და დედაც... ამბობს ნუკო. ეს ყველაფერი ხომ დედამ გავსწავლა?



ნახტი 2. გულა მარაძის

ზიხ ნიხა ო ზიხ უჩახა

მეორე ეპიზოდი

ვართებიც უჭბობა,
ღვინოც უსქამს სათრობი და...
ბანცელ-ბანცელ, — შელაკულა
მობანცელობის ხათლიობიდან.


— აი, შესმის საქანელი! —
შეცურეულა ბონდზე შელა;

ჩაუჭიდა ბაციონ მარდად,
გაქანდა და გამოქანდა;
გაქანდა და გამოქანდა,
გაქანდა და გამოქანდა...

შერე —
თაფლით სახაცილოდ
მოუსურბა ცხვირბირი და...
დნადალ-დანადალ, — დათონია
მოდანდალებს ტვიზბირიდან.

დინახა შელაკულა, —
ისიც ბონდზე შელაკუნდა;

ჩაუჭიდა ბაციონ მარდად,
გაქანდა და გამოქანდა;
გაქანდა და გამოქანდა,
გაქანდა და გამოქანდა...



შერე —
კომპლით დანსებულს
მლიყნდა უჩახს თვალუბი და...
მუნძულ-მუნძულ, — რუსი მკელი
მოძუნძულებს ფაქსიდან.

დინახა შელაკულა, —
ისიც ბონდზე შელაკუნდა;

ჩაუჭიდა ბაციონ მარდად,
გაქანდა და გამოქანდა;
გაქანდა და გამოქანდა,
გაქანდა და გამოქანდა.

შერე —
ერთობ გულმოსული,
გვიან-გვიან, როდის-როდის,
შოდის, შოდის, შოდის, შოდის...
თოფიანი კაცი შოდის!

მეკლმა შელან წაჭკრა თითი,
შეკლმ დრუნისს გაჭკრა ყუდი —
ბილია, — და ბონდიდან
გადვადვადნენ ზანტაუნტოი.

ბახ-ბუს, ბახ-ბუს! —
ბახ ჩქარა! —
ვიწ წინა და ვიწ უჩახა;
ვიწ წინა და ვიწ უჩახა,
ვიწ წინა და ვიწ უჩახა...



ანდრეევი



ვიჰორა გოლინიკინი

ნახატი ზურაბ ჯანაშიასი

ვეელაფერი ჩემი გვარის ბრალი: აქაო და „ა“-სე იწუებო, ჟურნალში ზირველი ვწერივარ; ჩაიხედავენ თუ არა შიგ, იმწამსვე მე უნდა გამიმხონ. მოდი ახლა და, ისწავლე, თუ ბიჭი ხარ. აი, ვოკაა შუკინს სულ სუთანები უწერია თავისი გვარის წყალობით—სიაში ბოლოს სწერია და რა განსაკვირია, კარგად რომ ისწავლოს; სანამ მასწავლებელი მის გვარამდე ჩავიდოდეს, სარიც ირეკება. დღე და დამ ამაზე ვუიქრობ, რა ვიდრო, მკერამ რა გამოდის! ერთსულ კარადამიც კი შეემკერი და იქ ვუიქრობდი.

ჰოდა, სწორედ კარადამი იყო, ეს რომ მოვიტონე.

დილით შევდივარ კლასში და ბავშვებს ვუსხალებ:

— დღეიდან მე მანდრეევი ვარ.

— აქამდე თუ ანდრეევი იყავი!.. — მეუბნება ვოკაა.

— მერე რა!—ვეუბნები მე,—ახლა, მანდრეევა ჩემი გვარი, მანდრეევი.

— ასეთი გვარი საერთოდ არ არსებობს!—ვეირიან ბავშვები.

— ვინ მოგასენათ! არის ასეთი გვარი! თქვენ მასწავლით?

— საკვირველია, — ხელებს შლის ვოკაა, — რაში დაგჭირდა უცებ გვარის გამოცვლა?

— აი, ნახავ!..

გაკვეთილი დაიწყო თუ არა, მასწავლებელს ვეუბნები:

— იცით... დღეიდან მანდრეევი ვარ.

გონავთ, ჟურნალშიც გადაიკეთათ გვა-
რი.

— ეს რაღა ოინებია! — გაწურბ
მასწავლებელი.

— ეს ოინი არაა, ეს... ეს ჩემთვის
ძლიან დიდი აშბაჯია.

— ოჭო, თუ ასეა, მაშინ გამოდი,
მანდრეეგ, მომიევეი გაგეითილი!

თარგმნა ზაპარ ლეჟანაშვილი



ტყევი

აპაჩი მენაძე

ტყევი გარბის შველი,
უკან მისდევს მგელი.
ტყემ გზა მისცა შველსა,
გზა შეუკრა მგელსა.
მგელი უღრან ტყეში
ისევ გარბის ხვნეშით.

დაეჯახა კობიტს
და დააჯდა კობი.

დაეჯახა თელას,—
ცხვირი გაიმთელა.

დაეჯახა ტირიფს
და მოგჭამათ ჭირი.

მკვდარი გდია მგელი,
აღარ გარბის შველი.

ნახატები ელ. ამოხაიანი



სიზმარის ქცობის

მურამ ხარაშიძე

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.—ეს ამბავი ნამდვილად მოხდა.

ჩვენს უბანში ერთი პატარა ბიჭუნა ცხოვრობს, სახელად სიზმარა ჰქვია.

ერთ საღამოს სიზმარა სავარძელში იჯდა და ზოოპარკზე ფიქრობდა. და, ვანა მართო შინ? სკოლაში, ქუჩაში, ცხადად თუ ძილში მუდამ ზოოპარკზე ფიქრობს ხოლმე.

მე კიდევ ერთ ბიჭუნას ვიცნობ, დღე და ღამე ორთვლიან ველოსიპედს ნატრობს.

ჰოდა, სიზმარამ იფიქრა, იფიქრა და ამ ფიქრში ჩაეძინა კიდევ...

ფანჯარაზე ჩიტი დასკუბდა. მიტრიალდა, მიტრიალდა, ოთახი ცარიელი ეგონა და შიგ შეფერინდა. სიზმარამ ჩიტი რომ დაინახა, გაინახა.

— სი-ზმა-რა! სი-ზმა-რა! — დაიტიკტიკა ჩიტმა და კარადაზე შესკუბდა.

სიზმარას გაუკვირდა, საიდან იცის ჩიტმა ჩემი სახელიო და შესძახა:

— ჩიტო, შენ—ოქროს ნისკარტი, ჩვენ—კარგი ამბავი... რა იყო, ჩიტუნა, რა გატყირვებია?

ჩიტი, ცოტა არ იყოს, შეერთა, მაგრამ სიზმარა რომ დაინახა, დამშვიდდა, ნისკარ-

ტით ფრთები გაისწორა და სავარძლის სა-
ზურგეზე დასკუბდა.

— ოჰ, როგორ მიხარია, შინ რომ დამხვ-
დი! — აღბატებით დაიძულურტულა და კიკიკის
მოჰყვა.

— საიდან იცი, რომ სიზმარა მქვია, ან
რატომ მოფრინდი ჩემთან?

— შენთან ზოოპარკის ცხოველებმა გა-
მომგზავნეს.

— რატომ? — მოუთმენლად იკითხა სიზმა-
რამ.

— ჩვენ კარგად გიცნობთ, სწორად გვინა-
ხიხარ ზოოპარკში. ხან ერთ ვალიასთან შე-
ჩერდები, ხან მეორესთან. ჯრიბში თუ კან-
ფეტო, ან მწესუმწირა გაქვს, ცხოველებს
ურჩევებ ხოლმე.

— მერე, მერე?

— დიდ გატყირვებაში ვართ, ძმაო, მე
დიდი ხანია, ზოოპარკს თავი დავაღწიე,
თქვენი სახლის სახურავებზე მამქვს ბუღე.

— მართლა?! — აღბატებით შესძახა სიზ-
მარამ.

— ჰო, ყოველდღე ვხედავ, პურის
ნამცეცებს რომ აქმევ ხოლმე მტრედებსა
და ბელურებს. ვიცით, კეთილი ბიჭუნა ხარ,

გადავწყვიტეთ, შენ შემოგჩივლოთ.

— გისმენთ, ჩიტუნა, თუ რამე შემიძლია, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

— ხომ იცო, ზოოპარკში ცხოვრობენ ბოროტი ცხოველები და ფრინველები: მგელი, ტურა, ვეფხვი, აფთარი, ქოჩი, მიმინო, ძირა. აქვე არიან კეთილი, უწყინარი ირემი, ყირაფი, სპილო, თუთიყუში, პინგვინი, სირაქლემა. ზოგიერთზე ახია გალიაში ჯღომა, მაგრამ ვის რა დაუშავა ირემმა, ან თუთიყუშმა? რაღა დაგიძალო და, ერთი მომგლელი ცულდად ეპურობა მათ, უჯავრდება, საკმელს დროზე არ აძლევს. ჰოდა, ყველა კეთილმა ცხოველმა და ფრინველმა მოილაპარაკეს, ამაღამ ზოოპარკიდან გავიპაროთო.

— რას ამბობ?!—გაიოცა სიზმარამ.

— გუშინ ფრთხილად შევფრინდი ერთ ოთახში და გასაღებები წამოვიღე. შებინდებისას ყველას ჩამოვფული და გავათავისუფლე. მხოლოდ შენი დახმარება გვჭირდება.

— შითხარი, როგორ დაგეხმაროთ?—ველარ მოითმინა სიზმარამ.

— ახლავე გეტყვი. ძია ვანოს ხომ იცნობ?

— რომელ ვანოს?

— აი, ავტობუსს რომ ღამლამოხით თქვენს ეზოში აყენებს ხოლმე.

— ჰე, ვიცნობ.

— ჩვე ღამით გამოვიპარებთ, ქუჩას გადმოვირბენთ და ავტობუსში ჩავსვდებით. შენც ამ დროისათვის იქვე უნდა იყო. ავტო-



ბყის
კაცუნაბი
ბუა, ყუდა
მიქიიქი
და მიქურიტი

ნოღარ ნელისიკირი

ნახატები ზარაპ ზორჩხიძისა

ტყის კაცუნა ბუა მუხის კენწეროზე გაბუებული ესკუპა.

— ბუა. ბუა, ბუა, რამ დაგაღონა?— ჰკითხა ყულამ.

— კრიქ, კრიქ, კრიქ...

— ჰვრიტ, ჰვრიტ, ჰვრიტ...— მოცვივდნენ მიკრიტიცა და მიქურიტიც.

— რაღა რამ დამაღონა, მელიის ში-

ბუსი დაქოქე, ტყემელ მიგვიყვანე და...

— კი მაგრამ, წაყვანა რომ არ ვიცი?—
შეაწუვეტინა სიზმარამ.

— მე გასწავლი. აი, მიუყურე: ერთი ფეხი
ერთ პედალს უნდა დააჭირო, მეორე—
მეორეს, დაატარალებ საპეს და ჰაილა!—
ავტობუსიც წავა.

— გასაგებია!

— ტყეში რომ მიგვიყვან, გამოზრუნდი
და ავტობუსი თავის ადგილზე დააყენე. ძია
ვანო ვერაფერს მიხვდება.

— ტყეში რა უნდა გააკეთოთ? არ შეგე-
შინდებათ?

— სწორედ ეგ უნდა მეთქვა: ტყეში ჩვენ
კეთილი ზოოპარკის გახსნას ვაპირებთ.

— მართლა?

— ჰო, იქ მხოლოდ უწყინარი ცხოველ-
ები და ფრინველები იცხოვრებენ. ჩვენ არც
გალიები გვექნება და არც ვეებერთელა

ბოქლომები. თავისუფლად ვინავრდებთ და
ტყესაც დავამშვენებთ.

— რა კარგია!

— იმ ზოოპარკში მხოლოდ წესიერ ბავ-
შეებს შევუშვებთ,—თქვა ჩიტმა და გაფ-
რინდა.

ღამით ის ლამაზი ჩიტი კვლავ მოფრინ-
და, ფანჯარაზე შემოჯდა და ჩუმად დი-
ძახა:

— სი-ზმა-რა! სი-ზმა-რა!

სიზმარა სწრაფად წამოდგა საწოლიდან,
თვალისდახამხამებაში ჩაიცვა და ეზოში
გაჩნდა.

ქიშკართან ავტობუსი იდგა. ავტობუსიდან
მხიარული ჩურჩული ისმოდა: ყველა კეთილ
ცხოველსა და ფრინველს ზოოპარკი დაე-
ტოვებია და ავტობუსში მოეყარა თავი.

— ჩქა-რა, ჩქა-რა, სი-ზმა-რა!—ფრთები
ააფართქუნა ჭრელმა ჩიტმა.

(გაგრძელება იქნება)

შით მიწაზე ფეხი ვერ დაგვიდგამს, ვეღარ
გვითამამია. მომებზრდა ჩიტივით ხეზე
ჯდომბა.

ტყის კაცუნები ჩაფიქრდნენ.

— მე ვიცი, მელოის რასაც ვუხამ!—
შესძახა უცებ მიქვრიტმა. ისკუპა, გაძვ-
რა-გამომძვრა, საიდანღაც თოკი მოიტანა
და მეგობრებს უთხრა:

— მოდი, დავსაჯოთ ეს მუზმუზელა,
ფლიდი და გაიძვერა! აი, ხელაეთ? მუხის

ძირას სძინავს. ავდგეთ და, ხეზე კუდი
ჩამოვკიდოთ!

— ჩამოვკიდოთ! ჩამოვკიდოთ!—შე-
სძახა ყველამ.

— ყოჩაღ, მიქვრიტ!—თქვა ბუამ და
მეგობარს მხარზე ხელი დაჰკრა.

— კი მაგრამ, როგორ ჩამოვკიდოთ?—
გაიკვირვა მიკრიტმა.

ტყის კაცუნები საგონებელში ჩავარ-
დნენ. მაგრამ მიქვრიტი, რის მიქვრიტი





28901



იყო, თუ ვერაფერს მოიფიქრებდა.

მოიფიქრა კიდევ და მგვობრებსაც გაენდო.

ყოფდა სიხარულით ერთი ისე შეხტა და შემოტრიალდა, რომ კინაღამ კისერი მოიტეხა. მიკრიჭი ისე დაიკრიჭა, როგორც მხოლოდ მიკრიჭი იკრიჭება ხოლმე. გაბუებულ ბუას კი მთვარესავით გაეზადრა სახე.



მიუვრიტმა მგვობრებს თოკის ერთი ბოლო მისცა, მეორე ბოლოს კი თვითონ ჩაავლო ხელი. ჩუმად, ჩუმად ჩამოძვრა ხიდან, მძინარე მელიას მიგბარა და კულზე თოკი გამოაბა. გამოაბა და ჰოპ! ტყის კაცუნებმა მელია კუდით ასწიეს; თოკი მუხის ტოტზე დაახვიეს და ჰაილა!.. მელიას ფონა, საქანელა მესისმრებაო. კული რომ აეწვა და გონს მოვიდა, კბილები ააკაწკაწა, აქვთ შეუღრინა, იქით შეუღრინა, მგვრამ რაღას გააწყობდა.

გახარებული ტყის კაცუნები ხიდან ხეზე დახტოდნენ და მსუნავი მელიის აღსასრულს მთელ ტყეს ატყობინებდნენ.

ტყის ცხოველები ღინჯად გამოდიოდნენ ჯაგებიდან და გაკვირვებული შესცქეროდნენ სეირს—გაძივრა მელია კუდით ვეილა ხეზე.

ფეხნაძი-ფეხნაძი

იხსებოდა მათმა რაჟი.
ღაღაღათა უაღაღაჟი.



ბარიულ ჭანჭარიან
— დიდით თურმე ვახომ
— არ დღია „ქაღცი.“
— ვერ გახდებს დანახოს,—
ვერ გახდება კაცი!..



ქეთისო და თოვლი

ნიკოლა უშვარიაძე

ვერ მიმხვდარა, უკვირს
სუფრუშემღა ქეთის,—
რატომღა ნეტავ
თოვდი ასე თეთრი?!



ბულგარული საბავშვო ჟურნალიდან


გაკანკა

გაუღიმებ—გაგიღიმებს,
ენას უყოფ—ენას გიყოფს.
თუ გაიგე,—ხომ გაიგე,
თუ არა და... მე რა გიყო.




იფიქრებ, თოვლი მოდისო,
არის საამო საცქერო,
ბევრს გვაძღვეს, ცოტას იტოვებს,
აბა რა არის?... .

გაია გალაგაძე

დაბადების დღე



პოლონური საბავშვო ჟურნალიდან



შთავარი რედაქტორი მუხრან მატაპარაძე.

სარედაქციო კომეფია: კუპურის გომარაგვის, ჯიშალ ლოლუა, გაყვალა მამკვირვის, ჯიშალ ნინუა, იორამ ძემირამიძე (მ/გ, მდივანი), შალვა ცხალამე (სამხატვრო რედაქტორი), რიშო მინიშვილი.


საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. დენინის სახელობის ნორჩ მიხერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ყდაზე ნახატი ზურაბ მამარაშვილი

ტექორედაქტორი გიორგი რომინიშვილი

გაბორცვის 19-41-ე წელი. რედაქციის შერისული მასალეი ავტორებს არ დურბრუნვიათ.

საქ. კ. ცუის გამომცემლობა. გამომც. შვე. № 759. სტამბის შვე. № 4459. ტირაჟი 105000. ჯალ. ზომა 60x90/8. ხელმოწერილია დსსბეულად : 7.XII-6/ წ. ვერჩალო დაბეჭდილია საქ. კ. ცუის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინაში ლენინს ქ. № 14. „ლილა“ № 1-ი გრუზისკო ვიზე. თბილისი, პროს. პლახოვა № 91 რედაქციის მისამართი: ოხლისი. პუბლიკაციის პრისი. № 91. ტელ. 5-27-38, 5-18-09. შპსი 20 აბა.



76055



პეიზაჟი — ნახატი თამაზ გოგოლაძისა, 10 წ. თბილისი.
 მებურმე — (პლასტილინი) ნაძერწი ზიძინა ვახვახიშვილისა, 7 წ. თელავი.
 ძაღლი — (თაბაშირი) შოთა რამიშვილისა, 6 წ. თბილისი.
 ჩვენნი ქუჩა — ნახატი ვჟა თევზაძისა, 6 წ. თბილისი.
 ირემი — (პლასტილინი) ნაძერწი ზურაბ ქარუშიძისა, 9 წ. თბილისი.
 ცხენი — (პლასტილინი) ნაძერწი კობა კობახიძისა, 6 წ. თბილისი.
 გაზაფხული — ნახატი ეკა სხირტაძისა, 4 წ. თბილისი.